№ 23 იანვარი 30, სამშაბათი

1890

იანვარი 30, სამშაბათი № 23

გაზეთი ღირს

| თუვე | მან. | კ. | თუვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890

სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1890

თებერვლის პირველს ორმოცი დღე სრულდება, რაც გარდაიცვალა ქუთაისის მეორე გილდიის ვაჭარი სიმონ ფირანის ძე ალერწიანი. ქვრივი გარდაცვალებულისა, ანასტასია ნიკოლოოზის ასული, აუწყებს განსვენებულის ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, რომ ამ დღეს, დილის 10 საათზედ, ქუთაისის წმინდა გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება წირვა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ბორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

## ახალი ამბავი

*** გუშინ წინ, 28 იანვარს, დღეობა იყო საქართველოს ეგზარხოსის პალადისა. ამ დღეს მის მისალოცავად მივიდა სამღვდელოება, თავად-აზნაურობის ზოგიერთი წარმომადგენელი, წარჩინებულნი მოხელენი საერო და სამხედრო უწყებისანი და სხვათა შორის წევრნი იმ კომიტეტისა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ განახლება წმ. რაჟდენის ტაძრისა სოფ. ნიქოზში. ამ კომიტეტის წევრთ მიართვეს მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას ადრესი და ორი სურათი ტაძრისა: ერთი უკვე განახლებულისა და მეორე ისეთისა, როგორიც განახლებამდე იყო ზემოხსენებული ტაძარი ნიქოზისა. მოგვყავს შინაარსი ადრესისა:

„თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ,

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, მოწყალეო მწყემსო და მამაო.

ალსვლისათანავე საქართველოს კათოლიკოსთა კათედრად, იწყეთ ზრუნვა, სიყვარულით აღსავსეო მეუფეო, ღვთის მიერ თქვენდა მონდობილ ივერიის ეკკლესიისათვის და სცდილობთ დაიცვათ და განაახლოთ ის ტაძარნი და მონასტერნი ღვთის-მშობლის წილ-ხდომილს ქვეყანაში, რომელნიც უფრო შესანიშნავნი არიან შემკულობითა, ისტორიულის ცხოვრებითა და დროთა მათ ძველის-ძველთა გარდმონაცემებითა. ერთ-ერთი ამ გვარი ძველის-ძველი ძეგლია ნიქოზის ტაძარი, აშენებული მე V საუკუნეში სახელოვანის მეფის ვახტანგ გორგასლანის მიერ. ამ ძეგლის განსაახლებლად ინებეთ და დანიშნეთ თქვენ კომიტეტი, და აი უხუცესი ტაძარი ნიქოზისა, მიწვენილი და განმზადებული ნანგრევთა გროვად გადაქცევამდე, მეოხებითა დიდისა საქართველოს ეკკლესიის პირველ-წამებულის წმ. რაჟდენისათა, დაუცხრომელისა მწყემს-მთავრობისა ზრუნვისა მაღალ ყოვლად უსამღვდელოებისა თქვენისათა და გულმოდგინებითა წევრთა კომიტეტისათა, ფენიქსებრ განახლდა, განიბნია მტვერი, განახლდა სიჭაბუკე მისი, ვითარცა სიჭაბუკე ორბისა, და გაბრწყინვალებულისა თვალითა თავ მოწონებით უმზერს სანეტაროსა მერმისსა მას საუკუნესასა, რათა უამბოს მერმისსა მის თაობასა ზრუნვა თქვენი მამობრივი სადიდებლად საქართველოისა ეკკლესიისა. სიწმინდე იგი დაცულ იქმნა ძველი ნაშთი აღდგენილ!“ ადრესის ბოლოს ნათქვამია, რომ გორის მაზრის თავად-აზნაურობამ და ნიქოზის გლეხთა საზოგადოებამ მოგვანდო მადლობა გადაგიხადოთ, თქვენო მეუფებავ, და ვისურვოთ თქვენთვის დღესა თქვენის სახელწოდებისასა ხანგრძლივი სიცოცხლე აღსადგენად და განსაახლებლად სხვათა საქართველოს ეკკლესიის ძველის-ძველ ძეგლთაცაო.

*** როგორი მოწყალე და სამართლიანიც არის ჩვენი „უსახელო საზოგადოება“ ცხენის რკინის გზისა, ეს სჩანს სხვათა შორის შემდეგის მაგალითიდამ: 1888 წელს სექტემბრის 21 ტფილისის გაზეთებში დაბეჭდილი იყო სამწუხარო ამბავი, რომ ციციანოვის აღმართთან რიყის ლიანდაგზე კონდუქტორმა მამალაძემ სამსახურის დროს ფეხი მოიტეხა და გაგზავნილ იქმნა სამკურნალოში, სადაც ექიმების გადაწყვეტილებით ფეხი უნდა მოეჭრას მამალაძესაო. მეტი არა ეიცოდით რა მამალაძისა. დღეს აღმოჩნდა, რომ მამალაძესთვის-კი არ მოუჭრიათ ფეხი, არამედ ძვლები ამოუღლიათ, ჭრილობა მოუშრალებიათ და ფეხის ჩონჩხი ჩაირივითა ჰკიდი წვივზე. ამ უბედურების გამო უსახელო საზოგადოება დღემდე აძლევდა მამალაძეს თთვეში 21 მანათს, ხოლო ამ უკანასკნელს დღეებში გამოუცხადებია, რომ ამას იქით ველარას მოგცემთ, სადაც გინდა წადიო. პასუხი ძალიან გულ-ახდილია, მაგრამ საით უნდა წავიდეს მამალაძე, უფეხო, დამახინჯებული ახალგაზდა, ამას-კი ალარავინა კითხულობს.

*** ჩვენ მივიღეთ წერა-კითხვის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო, ქართულ სკოლებისათვის შედგენილი მასწავლებელ ა. ნათაძის მიერ. ამ წიგნში მოთავსებულია ერთის წლის კურსი. ავტორს სხვა წლებისათვისაც შეუკრებია საკმარისი მასალა და ყოველ თითო წლის კურსისთვის ცალკ-ცალკე დაჰბეჭდავს თავისს წიგნებს. წიგნს სახელადა ჰქვიან „მოკეთე ბავშვებისა“. ანბანიდამ დაწყებული ბოლომდე დაცულია პედაგოგიური თანდათანობა სწავლებისა. ენა ძალიან მარტივია და ადვილად გასაგები ყმაწვილებისთვის. ანდაზები და ზღაპრები თავ-თავის ადგილასა აქვს ჩართული. ზღაპრები ზოგი სახალხოა, მომეტებული ნაწილი-კი „სიბრძნე-სიცრუიდამ“ არის ამოღებული. ადგილ-ადგილ ქართული ზმებიც არის ჩართული. როგორც შევიტყვეთ, ბ-ნს ნათაძესა ჰსურს თავისი სახელმძღვანელო გადასცეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ დასაბეჭდად.

*** 27 იანვარს სამეურნეო საზოგადოების კრებამ განიხილა მდივნის მოხსენება შესახებ ვებერის წერილისა. ვებერი, როგორც წინანდელ კრების ანგარიშით ვაუწყეთ მკითხველებს, ამტკიცებდა, რომ ამიერ კავკასიისათვის ამ ჟამად გამოსადეგია პირველ დაწყისი სამეურნეო სკოლები, რადგანაც აქაური მკვიდრი სხვა ხალხზედ ადრე ვაჟკაცდება და ამის გამო შუათანასა და უმაღლესს სკოლებს ველარ ასრულებსო. მდივნის მოხსენების შემდეგ კრებამ უადგილოდ სცნა ბ-ნ ვებერის წერილის დაბეჭდვა თავის ჟურნალში იმ სახით, რა სახითაც იგი შედგენილია, და გადასწყვიტა: ეთხოვოს ვებერს ხელ-ახლა შეიმუშაოს თავისი წერილი თანახმად სამეურნეო საზოგადოების პროგრამისაო. შემდეგ ამისა განხილულ იქმნა შემოსავალ-გასავალი საზოგადოებისა და ტფილისის საბაღოსნო სკოლისა. საზოგადოების შემოსავალი არ აღემატება 11,000 მან. შემოსავლის სიმცირის გამო დაადგინეს, რომ კვლავ საზოგადოების ხარჯზე აღარ მიიღონ პანსიონერები ხსენებულ საბაღოსნო სკოლებში. აქამდე-კი საზოგადოება ინახავდა 10 პანსიონერს. წინამძღვრიანთ-კარის სკოლის შესაწევრად გადასდეს 100 მან. ბოლოეს სახელმძღვანელოს „აბრეშუმის ჭიის მოვლა“ დასაბეჭდად ქართულსა, თათრულსა და სომხურს ენაზედ 240 მან. საბაღოსნო სკოლის შესანახავად გამოანგარიშებული იყო 15,526 მ., ხოლო საზოგადოებამ ეს თანხა რამდენადმე შეამცირა უფულობის მიზეზით.

*** შაბათს, ამ თთვის 27, აზნაურს ზ. პარფიონოვს, რომელიც ტფილისის ერთს სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურობს, იარმუკაზე კინტოსაგან ეყიდნა ერთი წყვილი შამაია. ამ შამაიის ჭამა იყო და პარფიონოვის მეუღლითა და უფროსის შვილითურთ ავად გახდომა. უბედურებს საშინელი მუცლის ტკივილი და კუჭის წვა ასტეხიათ. ამ დროს პარფიონოვთან მისული ერთი მისი ნაცნობი, რომელიც მაშინვე მიხვედრილა, რომ პარფიონოვი უთუოდ მოწამლულა თევზითაო, და [illegible] მყოფების გასინჯვის შემდეგ გამოუცხადებია, რომ თევზი დარიშხანიანი ყოფილა, მაგრამ ავადმყოფებს შიში არა აქვთო, და მართლაც წამლის მიცემის შემდეგ პარფიონოვები კარგად გამხდარან. მეორე დღეს, ე. ი. კვირას, პარფიონოვმა ეს ამბავი აცნობა პოლიციას, რომლის მოხელეც პარფიონოვს ამ დღეს დასდევდა გარეთუბანსა და იარმუკაში იმ კინტოს შესაპყრობად, მაგრამ ამ ძებნამ ამაოდ ჩაიარა. საკვირველია, რას აკეთებენ ეს ჩვენი ქალაქის მკურნალნი, რომელთა ვალია კვირაში ორჯელ მაინც დაათვალიერონ ჩვენი ბაზრები.

*** გუშინ, ამ თთვის 29, პირველ განყოფილების სასამართლოს გამომძიებელმა მიიწვია სასამართლოში ბ-ნ გ—ს მოწმენი ჩვენების ჩამოსართმევად. ბ-ნი გ—ი წინად მსახურობდა ერთს აქაურს სახელმწიფო დაწესებულებაში. ეს ვაჟბატონი ამ დღეებში დამთვრალა, გოლოვინის პროსპექტზე დაუჭერია ეტლი და უბრძანებია მეეტლისთვის მთაწმინდაში წასვლა. მეეტლეს ბ-ნი გ—ი ბევრი უტარებია და, როცა მობეზრებულა და ცხენები დაჰღალვია, მოუხსენებია, რომ მე შენი ტარება აღარ შემიძლიან, რადგანაც ცხენები დამეღალნენ, და ამიტომ გთხოვთ, რომ სხვა ეტლი დაიჭიროთ და მე გამისწორდეთო. ბ-ნს გ—ს არა სდომნია ამ ეტლის გაშვება და დაუწყია მეეტლესთვის ცემა. მერე აუღია ჯოხი და მეეტლესთვის თვალი გამოუთხრია. მეეტლე ამ ჟამად საშინლად არის ავად და ვინ იცის, მორჩება თუ არა.

*** გუშინ, ამ თთვის 29, შუადღისას, ალექსანდრეს ბაღთან, ბ-ნ აბოვიანცის სახლს წინ შემდეგი უბედურება მოხდა. კუკიიდგანა და ერევნის მოედნიდგან მომავალი ცხენის რკინის გზის ვაგონები ამ ალაგას შეხვდა ერთმანეთს სწორედ იმ დროს, როდესაც ვაგონიდგან გადმოდიოდა ვილაცა დედაკაცი. საბრალო დედაკაცი ჩავარდა ორს ვაგონს შუა და როდესაც ფეხზე წამოაყენეს, აღმოჩნდა, რომ მარჯვენა ხელი დაშავებოდა. გულ-წასული დედაკაცი ძლივს მოაბრუნეს და გაგზავნეს თავის სახლში. ამ საქმის გამო პოლიციის მიერ გამოძიება სწარმოებს. ამბობენ, ეს უბედურება იმიტომ მოხდა, რომ ვაგონი თავის დროზე არ დააყენესო.

*** გუშინ-წინ ქართულის დასის არტისტებმა ბ-ნ აბაშიძის საბენეფისოდ წარმოადგინეს პირველი და მეორე მოქმედება «ვაი ჰკუისაგან», «ჯერ დაიხოცნენ—მერე დაქორწილდნენ», ორმოქმედებიანი ვოდევილი რ. ერისთავისა და მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდამ „ხანუმა“. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო, განსაკუთრებით მდაბიო ხალხი, ლოჟა-კი არც ერთი არ იყო დაჭერილი. ყველაზედ [illegible] „ჯერ [illegible] მერე დაქორწილდნენ“-მა, სადაც ქ-ნმა გაბუნიამ თავის ნიჭიერის თამაშობით აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება. მობენეფისეს ერთი დაფნის გვირგვინი მიართვეს და ერთიც ვერცხლის საპაპიროსე, რომელშიაც ათთუმნიანი იდო.

*** რუსულ სამეურნეო ჟურნალში „Записки Импер. общест. сельск. хозяйст. южной Россіи“ დაბეჭდილია წერილი კოვალევსკისა შესახებ ფილოქსერის გავრცელებისა იმერეთში. წერილში ნათქვამია, რომ ფილოქსერა აღმოჩნდა ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში. ეს უჩინარი მტერი მოსდებია 120 ვენახს 80 დესიატინის სივრცეზედ. ფილოქსერა აღმოაჩინეს მხოლოდ შარშან. თურმეკი ნუ იტყვით, ადრევე დაბუდებულა ეს სენი ამ ქვეყანაში. ფილოქსერა შემოჰყოლია იმ ვაზებს, რომელიც მესაათეს ტაიგელს საზღვარ-გარეთიდამ მოუტანია ქუთაისში 1870—1872 წელს. ამ მესაათესაგან ვაზები უყიდნია სოფ. ალისუბნის მემამულესა და მღვდელს და აქედგან გადასდებია დანარჩენ ვენახებსაც. თვით ალისუბნის მღვდლისა გადაჰხმარა 300 საჟენის სივრცის ვენახიო. მთელს ქუთაისის გუბერნიაში არის 30,000 დესიატინის სივრცის ვენახი. ამ სივრციდამ შორაპნის მაზრაში არის 9,220 დესიატინა, ქუთაისისაში 7,715 დესიატინა, სენაკში 974 დესიატინა, ზუგდიდისაში 2,829 დეს., ლეჩხუმისაში 1,461 დეს., ოზურგეთისაში 1,240 დეს. და რაჭისაში 5,154 დესიატინა. ქუთაისის გუბერნიაში თუმცა ხალხი დიდ-ძალ ღვინოს ადგილობრივვე სვამს,

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველწლივ საზღვარ-გარეთ აქედგან გააქვთ 1.500,000 მან. ღვინოო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ახალციხე, 24 იანვარი. ძველმა წელმა ახალს ბევრი საეაგლახო და თავში საცემი დაუტოვა და ენახოთ ეს წელი როგორ ისახელებს თავს. მე-კი სწორედ გითხრათ, გული კარგს არას მეუბნება. უთავო, უზრუნველ ქალაქისათვის კარგი რა არის მოსალოდნელი! უბედურების თავიდგან ასაცდენად საჭიროა საზოგადოებას ჰყავდეს სინიდისიანი მოღვაწე, გულშემატკივარი მოთავენი, და რომ ჩვენს ქალაქს ამისთანანი ნაკლებად ჰყავს, ეს ყველასათვის ცხადია... ჯერ კიდევ ბევრი კოკა წყალი დაილევა, სანამ ჩვენში საზოგადო საქმე და მოღვაწეობა ნიადაგს იპოვიდეს. განა მოველოდით იმ დროს, რომ ჩვენი მოქალაქენი, აღვსილნი ურთიერთის სიყვარულით, შესდგომოდნენ საზოგადო საქმეების განხილვას, ცხოვრების განკარგებას, სულისა და გულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას? მე როგორღაც არა მჯერა. არა მჯერა იმიტომ, რომ ჩვენი ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება ძალიან დაქვეითებულია, ცხოვრება უფერული და უმნიშვნელოა, ხალხი მოკლებულია წარმატების სურვილს, გუნება დაჩლუნგებულია, ენერგია, მხნეობა დაკარგულია... სხვებისათვის საანბანო ჭეშმარიტება ჩვენთვის ჯერ მიუწდომელია, რაც სხვაგან ძველია, ხმარებიდგან გამო[illegible] არის... უეჭველია, ჩვენ შორის რომ აღძრული იყოს კითხვის სურვილი, პატივსა ეცემდეთ მწერლობას, ჟურნალ-გაზეთობას, მაშინ იმედი ჩვენის ცხოვრების აყვავებისა დიდი და მალე მოსალოდნელიც იქნება. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, არც ჟურნალ-გაზეთებს აქვს ჩვენში ფასი და არც მწერლობის დიდი მნიშვნელობა გვესმის. ნაცარქექიობა უფრო გვახალისებს და გვირთობს გულს, ვიდრე გაზეთში წაკითხული ამბები. მოკლებულნი კითხვის სურვილს, ჟურნალ-გაზეთებს, უეჭველია მოკლებულნი ვართ იმის ცოდნასაც, რაც ჩვენს გარშემო ხდება, და ეს ხომ ერთი უმთავრესი მიზეზია ჩვენის დახავსებულის ყოფა-ცხოვრებისა. თვალ-ყური შევაჩვევია ჩვენის ერთ გვარ, უფერულ ცხოვრებისათვის და მტკიცედა გვწამს, რომ ქვეყანაზედ ჩვენზედ ბედნიერად არავინა სცხოვრობს.

რა გული უნდა ჰქონდეს ჩვენს მაყურებელს საზოგადო მოღვაწეს? იმის სურვილს, მეცადინეობას ჩვენი უგვანო მოქმედება, არამც თუ არ გააძხნევებს, ხელს არ შეუწყობს, არამედ შეამცირებს, ხელს შეუშლის. მოვიგონოთ წარსული 20 იანვარი, როდესაც ბ-ნი მაზრის უფროსი გვთხოვდა მისვლიყვით სამაზრო გამგეობის დარბაზში, რათა აქ ეთხოვნა ჩვენთვის შემწეობა საბალოსნო სკოლის დასაარსებლად ჩვენში. რა გულგრილობა, რა უზრუნველობა, რა დაუდევრობა გამოვიჩინეთ საზოგადო საქმეში! ბ-ნი მაზრის უფროსი, ჩვენი დროებითი მეზობლები, ყველანი ერთად სცდილობენ ჩვენთვის, ჰზრუნავენ ხელი შეუწყონ, დაეხმარონ ჩვენის მოზარდ თაობის სწავლა განათლებას და ჩვენ? ჩვენ-კი არამც თუ არ ვეხმარებით, ჩვენდავე საკეთილ-დღეოდ, არამედ გზაზედ ველობებით, ხელს ვუცრით, ხალისს ვუკარგავთ. უეჭველია, ამ პატიოსან, უანგარო კაცთ წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ ამათი ჩვენდა მომართული თხოვნა ჩვენს შორის თანაგრძნობას დაჰბადავდა და სამაგიეროდ რა ნახე!... ბევრმა ჩვენგანმა არც-კი იკადრა მობრძანებულიყო კრებაზედ.

ახალციხელი

### წერილი რედაქციის მიმართ

პირველის წარმოდგენით გათამამებულებმა მეორედაც გავმართეთ უარსში ქართული წარმოდგენა და იმედიც არ გაგვიცრუვდა, რადგან წარმოდგენამაც კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც საკმაოდ დაესწრო. აი ანგარიში ამ წარმოდგენისა: შემოსავალი ბილეთებისა იყო სულ 165 მანეთი. აქედამ დაიხარჯა: სცენის ქირა 25 მ., პარიკმახერი 5 მ., აფიშა, ბილეთები და ლიბრეტო 9 მ. 50 კ., მუსიკა 17 მ., ტანისამოსის ქირა 8 მ., წვრილი ხარჯი 14 მან. სულ 78 მ. 50 კ. ბუფეტის შემოსავალი 70 მან., ბუფეტის ხარჯი 32 მანეთი. სულ დარჩა წმინდა შემოსავალი 124 მან. 50 კ., 50 კაპ. ფულის გასაგზავნი დაიხარჯა, 124 მან.-კი გავგზავნე „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" ნახევარი წინამძღვრიანთ კარის სკოლის გადასაცემად და ნახევარი იმავე საზოგადოების და მომავალ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ.

ი—ნე ქავ—ძე

### ტფილისის მაზრა*)

ხალხის მატება პირდაპირ დამოკი[illegible] ამ მხრით ყველაზე უკეთესად მოწყობილნი არიან სომეხნი და ყველაზე უმდარესი ადგილები-კი ქართველებს უჭირავთ. ქართველთა სოფლების უმეტესს ნაწილს ცუდი და ცხოვრებისათვის მავნებელი ალაგები უჭირავს, მაგალითად იორის ხაშმიანი ნაპირები. ამ გვარი სოფლებია: საგარეჯო, ნინოწმინდა, გიორგი-წმინდა, ხაშმი, უჯარმა და სხ. საგარეჯოში მცხოვრებთა რიცხვს 1873 წლიდამ 1885-მდე მოჰმატებია მხოლოდ 53 სული. სოფ. უჯარმას ამავე დროს მცხოვრებთა რიცხვი შემცირებია $12,_8\%$-ით. დღეს მაზრის ყოველ კომლს ორთა შუა ანგარიშით $5,_5$ სული შეადგენს.

მაზრაში სახელმწიფო მიწა, რომელიც სახელმწიფო გლეხის სარგებლობაშია, არის $83,872,_{39}$ დესიატინა. ამაში.

| | | |
|---|---|---|
| სასახლ-კარო მამულები . | $928,_{05}$ | დეს. |
| ბაღ ვენახები . . . . . | $1,639,_{07}$ | „ |
| ტყე . . . . . . . | $890,_4$ | „ |
| სახნავ-სარწყავი . . . | $4,581,_{27}$ | „ |
| ურწყავი . . . . . | $34,794,_{96}$ | „ |
| სათიბი . . . . . . | $10,387,_{81}$ | „ |
| საძოვარი და უსარგებლო | $30,650,_{83}$ | „ |

ყველა ეს მიწები ეკუთვნის 50 სოფელს. ხოლო სოფ. ავჭალას საკუთარი მიწები აქვს და სოფ. მამკოდს-კი საბატონო. გამიჯვნა მიწებისა თუმცა 1862 წელს დაიწყო, მაგრამ აქამდის სრულიად გამიჯნულია მხოლოდ 5 სოფლის მიწა. მიწები მეკომურთა შორის თანასწორად არ არის განაწილებული, არამედ ერთს რომ უჭირავს 1—2—3—4 დესიატინა მიწა, მეორეს იმავე დროს 10-დამ 39 დესიატინამდე ეკუთვნის. სულ უმამულო დედული გლეხნი სცხოვრობენ ოთხ ბინადრადა და ოთხ რუსთა სოფელში. სამამულო მიწა ამათ უყიდნიათ თავად-აზნაურთაგან ანუ გლეხთაგანვე, სახნავად კი ძალით ხვნენ თავად-აზნაურთა მიწებს. ამისთანა გლეხებს ჟულს უწოდებენ. დღეს (1885 წ.) ჟულად ითვლება მხოლოდ 15 მეკომური (78 სული).

სარწყავ მიწების უმეტესი ნაწილი რუებით ირწყვის. იორის მარცხენა კიდიდამ გაყვანილია ექვსი არხი ორი ხაშმისა, ერთი ბილანიშვილისა, ერთი ნინო-წმინდისა და ორი საგარეჯო გიორგი-წმინდელებისა. მარჯვენა კიდიდგანაც ექვსი არხია გაყვანილი. მტკვრიდამ არხი გამოდის ალექსანდროვის მამულებზე. ეს არხი მუშტაიდზე მიდის და ქალაქში შემოდის. მეორე არხი, ყველაზე დიდი არის მარიამისა, რომელიც ყარაიაზის მამულებს 15 ვერსის სივრცეზედ რწყავს. ბაღ ვენახთა უმეტესი ნაწილი წყაროს წყლით ირწყვის. იმ სოფლებში, სადაც წყალი ნაკლებად არის, წყალს მერუეს აბარებენ. მერუე ყველა მეკომურს თანასწორად უყოფს წყალს. გლეხების სახნავ სათესი ერთს ადგილას შეკრებილ-შემოფარგლული არ არის. 12 სოფელს გარდა, სხვების მიწები ნაჭერ ნაჭრად დაყოფილია და ხშირად ერთი ნაჭერი მეორეს 10—15 ვერსით ჰშორავს. სადავო მიწად, ხაზინასა და კერძო კაცთა შორის, ითვლება 3550 დესიატინა, რომელიც გლეხებს უჭირავთ, და ამას გარდა სადავოდვე ითვლება 6,508 დესიატინა, რომელიც კერძო მემამულეთა ხელშია ჯერ-ჯერობით.

19 სოფელი სასოფლო მიწას დრო და დრო, ქამითი-ქამად იყოფს ერთმანერთ შორის თანასწორად; 11 სოფელში უკვე დაუდგენიათ, რომ მიწები დაიყოს და 22 სოფელში-კი ამ გვარი გადაწყვეტილება ჯერ არ ყოფილა. მიწის გაყოფა დიდის დავიდარაბით იციან, რადგან მდიდარი გლეხები ყოველთვის ეურჩებიან მიწით ღარიბ გლეხებს და აბრკოლებენ კეთილს საქმეს. რაც უნდა იყოს, ბევრგან ღარიბების სურვილი უკვე აღსრულდა, მიწები დაიყვეს თანასწორად და დაადგინეს, რომ ერთხელ დაყოფის შემდეგ მიწა კიდევ საბილში ჩავარდეს 12 წლის შემდეგო.. მიწები იყოფა ლიტრა-ჩარექობის მიხედვით. ლიტრა ოთხი ჩარექია. ვისაც რა ზომის მიწის დაჭერა ჰსურს—ლიტრისა თუ ჩარექისა, — უნდა გამოაცხადოს და ლიტრიანებში ანუ ჩარექიანებში ჩაეწეროს. ხარჯიც დაჭერილ მიწის მეტნაკლებობის მიხედვით გამოერთმევა. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ დღეს გლეხები ლიტრა-ჩარექობის მიხედვით კომლეულად ანაწილებენ მხოლოდ ჩვეულებრივს ხარჯს, ხოლო მოულოდნელს ხარჯს-კი გააწერენ ხოლმე ქონება-შეძლების მიხედვით. ვინც შეძლებულია, იმას მეტობით გააქვს. მაგ. სოფ. დიდ-ლილოში, ხან და ხან, შეძლებული გლეხი და ისიც $1^1/_2$ ლიტრიანი 120 მან. იხდის, ხოლო ჩარექიანი, მაგრამ უფრო შეუძლებელი, 7—8—9 მანეთს. ხარჯს კომლეულად იხდიან. აქაური კომლობა შიგა და შიგ ერთის ოჯახისაგან-კი არ შესდგება, არამედ რამდენისამე მოსახლე-კარესაგან. ამისთანა ოჯახს „ოჯახის შვილი" ჰქვიან. ყოველი ოჯახიშვილი ემორჩილება ერთს ოჯახის უფროსს, რომელიც პასუხის მგებელია ოჯახიშვილების ყველა წევრის მაგიერ. სასოფლო რჩევა გადაწყვეტილებაში ოჯახიშვილთაც, ვითარცა დანარჩენ მეკომურთ, თითო კენჭი აქვთ. წინად ოჯახიშვილთ უფროსებს დიდი გავლენა და უფლება ჰქონდათ თავის ოჯახში: უიმათოდ ქვერი არ აიხდებოდა, ბეღელი არ გაიხსნებოდა და სხ. მაგრამ ეხლა-კი ამ წესს ბევრნი აღარ მისდევენ. ოჯახიშვილობა აქა-იქ 7—8 მოსახლე-კარეთაგან შესდგება და ერთ ოჯახიშვილობაში 30 ზე მეტ სულამდე ითვლება. ამოწყვეტილ ოჯახის მამულ-დედული საზოგადოებას რჩება. ამისთანა ოჯახის წარმომადგენლად თუ ქალი დარჩა, მას აკუთვნებენ მამა-პაპეულ დედულ მამულს მხოლოდ მაშინ, როდესაც იმავე სოფლის გლეხს შეირთავს, ან-და იმისთანა კაცს, რომელიც იმავე საზოგადოებაში ჩაეწერება წევრად; თუ სხვა საზოგადოების კაცს მისთხოვდა, მაშინ ქალს უთმობენ მხოლოდ მამის მამულსა და ბაღს. ქვრივი გათხოვებამდე თავის ქმრის „საკომლო" მამულსა ჰხმარობს, ხოლო შემდეგ კი ეს უფლება ერთმევა: ქმრის საკომლო საზოგადოებას რჩება, ხოლო სახლ-კარის ადგილი და ბაღ-ვენახი იმის პირველდელ ქმრის ახლო ნათესავს.

გაყრა და ქონების განაწილება შუაკაცების შუამავლობით იციან. გაყრის მსურველნი შუა-კაცებს ირჩევენ. შუაკაცობა ევალება ყველას, რომელმაც ზედ-მიწევნით იცის ადგილობრივი წეს-ჩვეულება და ამასთანავე ცნობილია თავის პატიოსნებით. შუა-კაცების გადაწყვეტილება სავალდებულოა მოდავეთათვის. თუ არჩეული შუა კაცი არ იყაბულა ერთმა მოდავემ, მაშინ შუა-კაცებს ირჩევს [illegible]. ზოგიერთ სოფლის მცხოვრებლებს პატიოსან შუა-კაცობის სახელი დავარდნიათ. მაგ. მარტყოფელებს, საიდგანაც ხშირად შუა-კაცებს ირჩევენ და იწვევენ ახლო მდებარე სოფლელები.

შუა კაცები იძიებენ, თუ გასაყრელების საკუთრებიდამ რამდენია სამამაპაპეულო და რამდენი ცერძოდ შეძენილ მოგებული და ამა თანავე იმასაც თუ ოჯახის ყოველს წევრს რამდენი ამაგი მიუძღვის ოჯახის წინაშე. ამ უკანასკნელ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს გასაყრელთათვის ჯეროვან წილის მისაკუთრებისათვის.

ვსთქვათ, იყრებიან გიორგი, ივანე და არჩილ პეტრეს ძენი. მამის სიკვდილს შემდეგ ამათ დარჩათ: 3 დესიატინა ვენახი, 12 დესიატ. სახნავსათესი, 12 თავი ულაყი, 60 ძროხა, 90 ცხვარი და 30 მან. ვალი. ამას გარდა, გიორგი, თუმცა ძმებთან გაყრილი არ იყო, მაგრამ ცალკე სცხოვრებდა; ივანეც მალე გარდაიცვალა და მას დარჩა ერთი ვაჟი და ერთი ქალი, ხოლო არჩილს-კი ოთხი ვაჟი ჰყავს და ორი ქალი. მამის სიკვდილს შემდეგ მთელმა კომლმა კიდევ შეიძინა მიწა, იყიდა საქონელი და სხვ. გაყრის დღეს, ვსთქვათ გასაყოფელია 5 დესიატ. ვენახი, 18 დეს. სახნავ სათესი, 20 ულაყი, 100 ძროხა, 90 ცხვარი, ხოლო ვალი 60 მან. ყველა ამას რომ გამოიძიებენ შუა-კაცები, მაშინ ადგებიან და სამ-წილობად გაჰყოფენ სამამაპაპეულო ქონებას და ყოველ ძმას, ანუ იმათს მემკვიდრეს გაუყოფენ: 1 დესიატ. ვენახს, 4 დეს. სახნავ სათესს, 4 თავს ულაყს, 20 ძროხას, 30 ცხვარს და თუმან ვალს. გიორგის, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ ცალკე სცხოვრობდა, აღარაფერს არგუნებენ. თუ არჩილის შვილმა მამასთან ცხოვრება აღარ მოინდომა და გაეყარა, იმას ერგება მამის წილის $^1/_4$-დი, ანუ მთელის სამამაპაპეულო ქონებიდამ $^1/_{12}$ ნაწილი. გარდაცვალებულ ძმის ივანეს მემკვიდრენი მიიღებენ სამამაპაპეულოს $^1/_3$-დს, ხოლო ივანეს ქალს მამის უძრავ ქონებიდამ წილი არა აქვს.

სამამაპაპეულო ქონების განაწილების შემდეგ შუაკაცნი ჰყოფენ ახლად შეძენილს და ყოველ წევრს არგუნებენ იმოდენა ნაწილს, რამდენიც ერგება ამაგის მიხედვით. ახლად შეძენილში წილი აქვს ოჯახის ყოველს მუშას მამრს. თუ ახლად შეძენილში თავის შრომით მონაწილეობა მიუღიათ გარდაცვალებულ ძმის ივანეს ძეთაც და თვით არჩილის ორ უფროსს შვილსაც, მაშინ იმათაც ცალკე წილი უნდა გაუღონ, მამა ბიძების ძმად ჩაითვალონ. ამ შემთხვევაში თვით ხალხი ამბობს, რომ „შვილნი და შვილი შვილნი მამებთან ძმად შეყვანილნი არიანო".

შინაურ პირუტყვს ოჯახის წევრთა შორის ანაწილებენ, ყოველ წევრის ამაგის მიხედვისამებრ. სახლის უფროსს, წილს გარდა, ერგება აგრეთვე „სახლის ჭერ-სახურავის" საფასური. თვით საოჯახო დარბაზი ყოველთვის უფროსის ძმის წილია, რადგან იგი ყველაზე პატარაა. სუსტია და გაყრის შემდეგ სახლის აშენება გაუჭირდებაო, ჰფიქრობს ხალხი. ამას გარდა სხვებსაც ერგებათ მეტ-მეტი, მაგ-გუთნის დედას საგუთნი-დედო უღელი ხარი და ან კუთანი თავის მოწყობილობით, მწყემსს—საჯოხე (რამდენიმე ცხვარი), მეჯოგეს—ძროხები, მებაღეს—ღვინო, დასაქორწილებელს ან გასათხოვარს საქორწილო და სამზითვო წილსა და სხ.

ხორბალი, ფქვილი, მარილი, ლობიო, ღვინო და ყოველი სანოვაგე იყოფება თანასწორად ოჯახის ყველა წევრთა შორის, მუშა კაციდგან მოკიდებული უსუსურ ყმაწვილამდე. თვით ორსულ დედაკაცის წილს ერთ კოდ ქერს უმატებენ მის ჯერ დაუბადებელ შვილის წილად. მარტო სიმინდი იყოფება „მკლავის კაცზე".

საწოლ-ლოგინი, ავეჯ-ჭურჭელი იყოფება ძმათა შორის თანასწორად, ხოლო, წილს გარდა, უფროსი რძალი იღებს თავისთვის ვარცლს, კიდობანს და ოროშს. ფრთოსანთაც რძლები თანასწორად ინაწილებენ.

ქერმუხელი

*) იხ. „ივერია" № 22.

## უცხოეთი

გერმანია. საქსონიის ლანდტაგში ლაპარაკი იყო საერო განათლების ბიუჯეტის გამო. დეპუტატმა ბებელმა ჰკითხა მინისტრს: მართალია, ვითომ დ-რს კონრად შმიდტს ნება არ მიეცა ეკითხა ლექციები ლეიპციგის უნივერსიტეტში მხოლოდ იმიტომ, რომ ერთს თავის თხზულებაში ამ სწავლულმა გამოაცხადა თავისი მომხრეობა მარქსისა და სამეცნიერო სოციალიზმისა? მინისტრმა გოსლერმა ამაზედ ასე უპასუხა ბებელს: ახალგაზდა სწავლული დ-რი შმიდტი, მართალია, მომხრეა მარქსის მოძღვრებისა, მაგრამ ეს გარემოება არ დაუშლიდა ამ სწავლულს პრივატ-დოცენტობას უნივერსიტეტში. საქმე იმაშია, დ-რი სოციალ-დემოკრატიის მომხრეა, ხო-

ლო განსხვავება დიდია სამეცნიერო სოციალიზმსა და სოციალ-დემოკრატების დასს შორის. დეპ. ბებელი: მეის-ლა დამრჩენია ვსთქვა, რომ ლეიპციხის უნივერსიტეტში სწავლების თავისუფლება არა ყოფილა, ის თავისუფლება, რომელიც გერმანიის ყველა სხვა უნივერსიტეტებში მიჩნეულია ქვაკუთხედად მეცნიერების წარმატებისა და აყვავებისა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. გლადსტონის მომხრე გაზეთი „Daily News"-ი გვიამბობს, როგორი ორატორები არიან ინგლისელი ჯონ მორლეი და ირლანდიელი ო'ბრიენი. გაზეთის აზრით, თუმცა გარეგნობითა და ბუნებით ეს ორი ორატორი საკმაოდ განირჩევიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მსგავსებაც არის მათ შორის. ჯონ-მორლეის უფრო მეტი ჭკუა დამჯდარობა, ყინულივით ცივი გონიერება ეტყობა, ხოლო ო'ბრიენს გრძნობა მეტი აქვს, მაგრამ-კი არავის უნდა ეგონოს, რომ ვითომ მორლეის გრძნობა საკმაოდ არ ემჩნევა, ან რომ ო'ბრიენს ჭკუა-დამჯდარობა მცირედ აქვს. არა, საქმე იმაშია, რომ გრძობა მორლეისა ღრმად არის იმის გულში დამარხული, ო'ბრიენის გრძნობა-კი მალე და სწრაფლად იჩენს თავს. თავი და თავი მსგავსება ამ ორის ორატორისა ის არის, რომ ორივენი დიდად გულწრფელნი, შეურყეველნი, ნაცადნი, გულადნი არიან და ღრმადა სწამთ თავიანთი სარწმენი. ერთისათვისაცა და მეორისათვისაც საპოლიტიკო მოღვაწეობა მოვალეობაა, სარწმუნოებაა და არა გართობა და შექცევა. იქნება ორივეს ძალიან უნდოდეს პოლიტიკის გარეშე მუშაობა, მაგრამ ორივე გაუქრობელს გრძნობას მოვალეობისას დაუცხრომელ საპოლიტიკო ცხოვრების მორევში ჩაუყენებია. ორივეს ნიშნობლივი თვისებაა თავ-გაწირვა, საკუთარის თავის დავიწყება და უარყოფა. მორლეის შეუძლიან ისეთი ოლტაცება დაჰბადოს ინგლისელთა კრებაზე, რომლისთანასაც მხოლოდ გლადსტონი თუ გამოიწვევს. ო'ბრიენი კერპადა ჰყავთ აყუდებული თავიანთ მემამულეებს, მაგრამ ბევრჯელ იმის ალგზნებულს, გრძნობით ალსავსე, თითქმის პოეტურს მეტყველებას ინგლისელ მსმენელთა შორისაც გამოუწვევია ისეთი ოლტაცება, რომლის მოლოდინი თავის დღეში არ უნდა ჰქონოდა გარეშე მაყურებელსაო.

## ᲖᲝᲚᲐᲡ ᲐᲖᲠᲘ

### ᲒᲣᲤᲔᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ამ რამდენისამე თთვის წინად მოჰკლეს საფრანგეთში ერთი საკმაოდ წარჩინებული მოხელე, სასულიდობრ გუფე. მისი გვამი იპოვეს ლიონს ახლოს ერთ პატარა სოფლის არხში. გუფე მოკლა ვიღაც ეროს და იმის საყვარელს გაბრიელ ბომბარს. პოლიციამ უოკველი ღონისძიება იღონა, რომ დამნაშავენი აღმოეჩინა, მაგრამ მისი ცდა დღემდე ამაო იყო. მხოლოდ ამ დღეებში დაბრუნდა ამერიკიდამ ქალი გაბრიელ ბომბარისა და იმან აუწყა პოლიციას უოკველივე გარემოება გუფეს მოკვლისა. ეროსა და მის საყვარელს უსიამოვნება მოსვლიათ. გაბრიელ ბომბარს სხვა კაცი შეუყვარებია, ახლა დაბრუნებულა პარიჟში და უოკველივე უცნობებია პოლიციისათვის. ამ ამბის გამო ერთის გაზეთის თანამშრომელი მისულა რომანების მწერალ ზოლასთან და უკითხავს, რა აზრისა ხართ თქვენ გუფეს საქმის გამოო. თქვენ იცით ადამიანის სულის კითარებას და, როგორ გგონიათ, რა გვარად უნდა მომხდარიყო ჯერ მოკვლა ერთმანეთის მოყვარულის კაცისა და ქალის მიერ მდიდრისა და წარჩინებულის მოხელისა და მერე — რა მიზეზით გასცა გაბრიელ ბომბარმა თავისი წინანდელი საყვარელი ეროო.

ზოლას უთქვამს, რომ საქმე ალბად ასე ყოფილა:

„ვიდრე გაბრიელს უყვარდა ერო, ერთგულიც იყო მისი, მაგრამ, შეიყვარა თუ არა სხვა, სახელდობრ გარანჟე, ერო აღარ არსებობდა მისთვის. გაბრიელმა შეცოდებითაც აღარ შეიცოდა ერო. ამიტომ ადგა და სრულის გულგრილობით მისცა ის კაცი ხელში მართლ მსაჯულებს.

„დედაკაცნი სულ ერთ ნაირნი არიან! რა ნაირადაც უნდა იყვნენ აღზრდილნი, რა ალაგიც უნდა ეჭიროთ საზოგადოებაში, სულ ერთია, ყველანი მაინც მეტის-მეტად ადვილად იცვლიან საწროფოს: დღეს ივიწყებენ იმას, ვინც გუშინ უყვარდათ, ხვალ იმას, ვინც დღეს სულს ურჩევნოდათ.

„მამაკაცს შეუძლიან ებრალებოდეს ის დედაკაცი, რომელიც აღარ უყვარს, მაგრამ რომელიც ერთხელ უყვარდა. დედაკაცმა-კი ამისთანა ზრდილობისა არა იცის-რა; ის მამაკაცი, რომელსაც გაუგრილდა, მისთვის უცხოა, თავისი მტერი ჰგონია.

„რაკი ერომა და გაბრიელმა ერთად ჩაიდინეს დანაშაული, იმათი ერთად ცხოვრება შეუძლებელი-და იყო. თუ დედაკაცმა და მამაკაცმა ერთად კაცის-კვლა გაბედეს, მერე ისინი ერთად ვეღარ მოახერხებენ ცხოვრებას. კაცის-კვლა და საზოგადოებური კავშირი, ერთობა მოუთავსებელი საქმეა. იქნება ორმა მამაკაცმა მოჰკლან კაცი და მაინც ერთად იცხოვრონ, მაგრამ მამაკაცი და დედაკაცი-კი ერთად ცხოვრებას ვეღარ მოახერხებენ.

„ეროსა და გაბრიელის საქმე დასხლოვებით ასე უნდა ყოფილიყო: როცა შიში აღარაფერი იყო და გაბრიელმა მოინელა გულის ხეთქა კაცის-კვლის გამო, გაიცნო გარანჟე, გადიგდო გულიდამ ერო და გადასწყვიტა უოკველივე მისი ამბავი სასამართლოსათვის შეეტყობინებინა. მაგრამ შესაძლოა სხვა მიზეზებიც ჰქონოდა გაბრიელს. სიყვარულს გარდა სხვა რამეც არის საჭირო ბედნიერებისა და კეთილის ცხოვრებისათვის. შეძლება ეროს ნაკლებად ჰქონდა და მაშასადამე გაბრიელს კეთილი ცხოვრება აკლდა უნდა იცოდეთ, უმაწვილო, რომ ცხოვრებაში მარტო სიყვარული არ არის პირველი საქმე! რომელსაც გინდა დონ ჟუანს ჰკითხეთ და, თუ გულწრფელი კაცია, გეტყვით, რომ ათს დედაკაცში მხოლოდ ორი თუ დაჰნებდება მამაკაცს თავის საკუთარის სიამოვნებისათვის, დანარჩენი რვა ჰნებდება ან ფულისა და ან გულკეთილობის გამო.

„თავი რომ მოვუყაროთ უოკველსავე, უნდა ვსთქვა, რომ ცოდვის მონანიებისა და სინიდისის ქენჯნის გამო-კი არ გასცემენ ხოლმე ცოლნი, ან საყვარელნი თავიანთ დამნაშავე ქმრებს, არამედ ჯერ პატივ მოყვარეობის გამო, უნდათ, რომ ქვეყანამ ილაპარაკოს მათ შესახებ, და მერე გულ-გრილობის გამო წინანდელ სატრფოს მიმართ.

„რა მშვენიერი რომანი გამოვიდოდა, გაბრიელს რომ ჩვენება ჩამოერთმევოდეს! მაგრამ ის მართალს არ იტყვის, დედაკაცებს არ შეუძლიანთ საზოგადოდ სრულის გულ მართლობის გამოჩენა, ისინი ყველას ატყუებენ: მოსამართლეებსაც, თავიანთ საყვარლებსაც, თავიანთ მოახლეებსაც და თვით თავიანთ თავსაც-კი".

## ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დებს ემილია და ჯორჯიანა გილდს, რომელნიც მწერლობისა კარგი მცოდნენი არიან, განუზრახავთ ლონდონში გაჰმართონ განსაკუთრებული სასწავლებელი ქალებისათვის. ამ სასწავლებელში ქალებმა ესრედ წოდებული პროფესიონალური საჟურნალო განათლება უნდა მიიღონ და შეიქმნენ რედაქტორი, კორრექტორი, სტენოგრაფი და რეპორტერი ქალები. სწავლა პრაქტიკულს ფეხზედ იქმნება დაყენებული, რადგან იმავ სასწავლებელმა უნდა გამოსცეს გაზეთი „The Wertminster and Lambeth Gazette", რომლის შედგენაშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მოსწავლე უმაწვილმა ქალებმა.

— „Science pour tous"-ი ამტკიცებს, რომ ვინც სასმლისა და საჭმლის ხმარებაში ზომიერია, ასე რომ ამ მხრივ სშირად იკლებს კიდეც საჭმელს, ის ღრმა მოხუცებულებამდე მაიღწევს და საზოგადოდ-კი იმაზედ უფრო ხანგრძლივ იცოცხლებს ვინც კუჭის ნებიერობაშიაო. მაგალითებრ, რომის გამოჩენილი ჯარის-კაცები, რომელნიც თავ დაჭერით სცხოვრობდნენ, ისეთ მძიმე იარაღს ატარებდნენ, რომ, ეხლა რომ გაიკეთოს კაცმა, ერთის ნაბიჯს ვერ გადასდგამდა. ფურადღება მიაქციეთ სმირნის მუშებს, რომელნიც სულ რამდენისამე ხის ნაყოფით საზრდოობენ და ამასთან ისეთს მძიმე ტვირთს იკიდებენ, რომლის წონასაც ჩვენი მუშა მკრას ვერ უზამს. მალიან მშრომელი და მომუშავეა აგრეთვე ჩინელი უული, რომელიც მთელი დღე მუხლჩაუვეცლად არის ჯაფაში გართული, კუჭის საზრდოდ კი სულ ორიოდე მუჭა ფლავი აქვს და იმით მიდის იოლად.

— პრუსიაში მკვიდრთ გადასახადი შემოსავლის დაგვარად ერთმევათ. ჩვეულებრივ სიას ჰბეჭდავენ ხოლმე იმათსას, ვისაც გადასახადი უნდა გამოერთვას, და ამ სიაშივეა მოხსენებული დაწვრილებით ვის რამდენი შემოსავალი ჰქონია. აი იმ სიიდგანა სჩანს, რომ ყველაზედ მდიდარი კაცი მთელს პრუსიაში კრუპპი ყოფილა, თოფ-ზარბაზნის ქარხნის პატრონი. ამ კაცს წარსულ 1889 წ. 4.380,000 მარკა შემოსავალი ჰქონია და ამ 1890 წლის შემოსავალიც მარშანდლის კვალობაზედ აღრიცხული აქვს თურმე და 5.580.000 მარკას მოელის. ეტყობა სალხის საკლევ იარაღის მკეთებლობა მალიან სახეირო ხელობა ყოფილა.

— ჰოლანდიაში ამ ჟამად საოჯახო სიებს ადგენენ. აი ამ სიის შედგენის დროს ჰააგეში ერთი ახირებული ამბავი მომხდარა. როცა ერთის მებულკესათვის უკითხავთ, რა გქვიან, რამდენის წლისა ხარ და სხ. სიაში აღსანიშნავად, ამ კაცს უარი უთქვამს და დაუჟინია, რომ ერთს ცნობასაც არ ჩავაწერინებთ. მაგისთანა სიის შედგენა ეწინააღმდეგება ღვთის კანონს და საღმთო წერილში ნათქვამია, რომ როცა დავითმა ბრძანება გასცა ისრაელთა ტომი აღწერეთ სათითაოდაო, უფალი გაუწყრა დავითს, იმის ერში ჭირი დაატრიალა და 70,000 ადამიანი გაუწყვიტა. ეჭვი არ არის, რომ მაგ სიის შედგენაც არაფრად მოსწონს უფალს და განრისხებულია კიდეც ჩვენზედ. ამ განრისხებას უფლისას აშკარად ამტკიცებს თუნდა ინფლუენცია, რომელიც ეგრე სწრაფად მოედო ყველას. მე მინდა ჩემს თავსა და ჩემს ოჯახს ავაშოროო უფლის წყრომა და რისხვა და ამიტომ აღთქმა მაქვ დადებული, რომ მაგისთანა ღვთისთვის არ მოსაწონს საქმეში მონაწილეობა არ მივიღოო.

## ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ

ამ ათასის წლის შემდეგ იქნება კიდევ ეს ჩვენი ქვეყანა, ხალხი იცხოვრებს, თუ უველაფერი გაჰქრება, წავა, დამიწდება, რა გგონია, მკითხველო? მე არ ვიცი, რას იტყვი და რაც შეეხება პეტერბურგში თავ-მოყრილ ბუნების - მეტყველთა კრებას, ეს კრება სულ უნუგეშო პასუხს იძლევა. კრებამ აღნიშნა თურმე, რომ ზღვანი და ოკეანენი თანდათან რიყვდებიან, მცირდებიან, და ის ქალაქები, რომელნიც წინად ზღვის პირას მდებარეობდნენ, ეხლა ზღვაზედ მთელის ვერსით არიან მოშორებულნი. მეცნიერნი იმ აზრისანი არიან, რომ, ზღვების გახმელეთებამ თუ ასე იარა, შეიძლება ერთისა, ან ორის ათასის წლის შემდეგ სულ ერთიან გაჰქრეს ზღვა-ოკეანე და მაშინ... მაშინ, რაღა თქმა უნდა, ხალხიც აღარ იქნება, რადგან უწყლოდ ვერავინ გასძლებს. მეცნიერნი ამას კიდევ არა ჰკმარობენ და უფრო საშინელს საფრთხეს გვიქადიან. პროფესორმა იანსონმა, ამ რიცხვთა დაუძლეველმა მეფემ, საზარელი რამ აღმოაჩინა. ამ მეცნიერმა „საერო ჯან-მრთელობის მცველ და მფარველ საზოგადოებას" აუწყა, რომ რამდენიც დრო გადის, დედათა სქესის ბავშვი თანდათან ცოტა იბადება და მამათა სქესის უმაწვილთა რიცხვი-კი უფრო და უფრო ჰმატულობს. დედათა სქესის შემცირება და კლება ისე სწრაფად სწარმოებს, რომ წლითი-წლობით თვალ-ყურის მდევნელიც-კი შეჰნიშნავს ამ უბედურებას. თუ ამ საქმემ ფერი და იერი არ იცვალა, ათასის წლის შემდეგ დედათა სქესის ბავშვი სულ აღარ დაიბადება, და მაშინ... მაშინ-კი, ეჭვი არ არის, კაცობრიობა ერთიან გაჰქრება და გაქარწყლდება. წყლის უქონლობას კიდევ ეშველება, წყლის მაგიერ ღვინოს დალევს კაცი, ან, თუ მეტის-მეტი გაჭირება დაადგა, სისხლის სმასაც არ იუკადრისებს, მაგრამ დედაკაცი რომ არ იყოს, რა უნდა ეშველოს?..

**

ესეც ერთი გამოცანა. ვიღამაც თავისი ქონება წარსულს 1889 წ. დააზღვია, შეჰკრა ცეცხლისაგან 500 მანეთში, ხოლო 1890 წ. პირველ იანვრიდგან იგივე ქონება 2,000 მან. შეიტანა დამზღვევ საზოგადოებაში. როგორღაც ისე მოჰხდა, რომ იმისი ქონება ახალწლის წინა ღამეს დაიწვა და ამის გამოისობით ერთი დავიდარაბა ასტყდა: დაზარალებულს ჯილდოდ რა უნდა მიეცეს, 500 მან. თუ 2,000 მან. უნდოდათ გამოერკვიათ, რომ ცეცხლმა რა დროს შთანთქა დამზღვევლის ავლა-დიდება ახალწლის წინა ღამეს, თორმეტ საათამდე, თუ ამას შემდეგაო, მაგრამ, საუბედუროდ, ცეცხლი შუაღამისას გასჩენოდა და არავინ იცოდა, თორმეტი საათი უოფილიყო მაშინ, თუ პირველი. იმტვრიონ თავი ახლა ჩვენმა სოლომონებმა.

**

უველიერი დგება და ქორწილიც, რასაკვირველია, ბევრი გახდება. აი რამდენიმე აფორიზმი პაოლო მონტეგაცასი, იტალიის მწერლისა, ცოლ-ქმრობის შესახებ:

კაცმა რომ ჰიგიენის გამო ცოლი შეირთოს, ეგ იმას ეგვანება, რომ წყურვილის მოსაკლავად მდინარეში გადავიდეს თავდა-ყირა.

გამოჯავრებული ცოლის შერთვა იმას ეთანაბრება, რომ სხვის შურის საძიებლად ადამიანმა თავი მოიკლას.

სიძვისა და მრუშობის მოყვარეობა სანდახან დედაა სიყვარულისა, უფრო ხშირად-კი — ჯალათი.

ქვრივი კაცი საუკეთესო ქმარია.

შეიძლება კაცს არ უყვარდეს და ეჭვიანობდეს-კი, ან უყვარდეს და ეჭვი-კი გულს არ უთანადრიდეს.

სიყვარულის წერილის თხზვა ერთად-ერთი ნაწილია ლიტერატურისა, რომელშიაც დედაკაცი მამაკაცსა სჯობნის.

ვისაც ჭეშმარიტად ჰყვარებია და თანაგრძნობა ყოფილა ერთხელ მაინც მთელს თავისს სიცოცხლეში, იმას სიცოცხლის კიცხვა-ძაგვის ნება არა აქვს.

## ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

28 იანვარი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ფინანსთა სამინისტროს სარკინის-გზო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი ვიტტე დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს მიერ გზათა უწყების სამინისტროს წევრად და წინანდელი ადგილიც იმას უნდა ეჭიროს.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. ხარკოვის უნივერსიტეტის საბჭომ, იურიდიულ ფაკულტეტის ერთხმად დადგენილ გარდაწყვეტილების თანახმად, დაადგინა, რომ ობერ-პროკურორს სენატისას აფ. კონის ებოძოს ხარისხი დოქტორისაო (Honoris causa).

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „Standard"-ს მანჰაიდგან ამბავი მოსვლია 7 თებერვალს, რომ რადგან რუსეთის ჯარი ციმბირში ამ ბოლოს დროს ძალიან იყრის თავს, ჩინეთის მთავრობამ სიფრთხილის გამო დიდ-ძალს ჯარს მოუყარა თავი მანჯურიაში და გერმანიაში რამდენიმე ათასი მაგაზინის თოფი შეუკვეთა.

ᲞᲐᲠᲘᲟᲘ. დღეს წარსდგა ჰერცოგი ორლეანისა მე-8 პალატის პოლიციის წინაშე. ჰერცოგმა სთქვა, რომ საფრანგეთის ჯარში შესასვლელად მოვედიო, და ითხოვა, რომ ჩემის საქმის გარჩევა სხვა დროისთვის გადასდეთ, რადგან ვექილი მინდა დავიჭიროვო. საქმის გარჩევა საოთხშაბათოდ გადასდეს.

ᲕᲔᲜᲐ. აქ ხმა დადის, რომ პანიცა და კიდევ ოთხი აფიცერი გუშინ დახვრიტეს სოფიაშიო. სტამბულოვს იმედი აქვს, რომ ეს ამბავი შეაშინებს და შეაფრთხობს იმ უკმაყოფილო აფიცრებს, რომელნიც პროვინციის ჯარებში ჰმსახურობენო.

ოფიციოზური ბოლგარიის დეპეშები მეტად აზვიადებენ შეთქმულობას და დამტკიცებით ამბობენ, რომ შეთქმულებს უნდოდათ მოკვლა პრინცის ფერდინანდისა, სტამბულოვისა და მუტკუროვისა. ამ საქმეში ჩარეულნი არიან წინანდელნი ნამინისტრალნიც. დეპეშებიდგან სჩანს, რომ ბოლგარიაში მართლაც რაღაც აშლილობა ჰსუფევს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. სოფიიდგან ამბავი მოვიდა: ოფიციალურმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ პანიცასა და დანარჩენ შეთქმულობაში მოზიარეთ პრინცის ფერდინანდისა, სტამბულოვისა და მუტკუროვის მოკვლა სდომებიათ. იმის მოლოდინი აქეთ, რომ სასამართლო გამოძიების დროს დაიბარებს აგ-

რეთვე ორს ადამიანს, რომელნიც მინისტრებად იყვნენ პრინცის ალექსანდრეს ტახტიდგან ჩამოგდების დროს. ყოველივე ღონეა ნაღონი, რომ წესიერება და მშვიდობიანობა არ დაირღვეს.

„Times“-ი იუწყება, რომ პრინცის სახელით წოდებულ კავალერიის პოლკის აფიცრებმა გადასწყვიტეს შეუერთდნენ სტამბულოვის მოწინააღმდეგეთ სოფიაში სამინისტრო კრიზისია, რადგან ტონჩევსა და სტამბულოვს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. სტამბულოვმა თვით იტვირთა პოლიციის პრეფექტის მოვალეობა, რადგან არავის უნდა ანდოს ეს თანამდებობა. სამშაბათს დღეს მინისტრებს თათბირი ჰქონდათ. პრინცმა ფერდინანდმა გამოაცხადა, რომ მზად ვარ სამთავროს თავი დავანებო ეხლავე, თუ ასეთის საქციელით შინაგანი მშვიდობიანობა შეურყეველად იქმნება დაცულიო. ამ აზრს ყველა მინისტრი წინ აღუდგა. სტამბულოვის სახლს ღამ-ღამე დარაჯი უდგა. ბოლგარიის ჯარის სამსახურში მყოფთ ალარსად ითხოვენ. იმ ჯარების უფროსებს, რომელიც დაბანაკებულია ბურღასსა, ვარნსა, რუშჩუკსა, ვიდუინსა, ტირნოვოსა და ფილიპოპოლში, ებრძანათ, მეორედ უნდა ჩამოგვერთვათ ფიცი, რომ ერთგულნი იქნებით პრინცის ფერდინანდისაო. სოფიის ჯარიდგან 500 კაცმა თავი უნდა დაანებოს დედა ქალაქს და წავიდეს პროვინციაში, საიდგანაც იმათ მაგიერ იმდენივე ჯარი სოფიაში მივა. ფოსტის უწყების გამგე მმართველმა სასტიკი ცენზურა შემოიღო დეპეშებისათვის და შავი კაბინეტი გამართა კორრესპონდენციისათვის. სასახლეში ყარაულები ყოველ ორს საათში ერთხელ იცვლებიან. სოფიის რკინის გზის ვოგზალს ჰდარაჯობს მთელი როტა და ყარაულები ყოველ საათს იცვლებიან.

29 იანვარი

პეტერბურგი. დღეს გარდაიცვალა გრაფი პ. ა. ვალუევი.

გუშინ გათავდა კრება საურთიერთო ზღვევის საზოგადოებათა წარმომადგენელებისა. კრების თავმჯდომარემ სთქვა, რომ იმედია, ამაგი კრებისა კარგს ნაყოფს გამოიღებსო.

„Нов. Вр.“ ში დაბეჭდილია დრაგანცანკოვის მიერ პეტერბურგიდამ გაგზავნილი წერილი, 15 იანვრის თარიღით დანიშნული და მიწერილი ბოლგარიაში მეგობრებთანა და მომხრეებთან. ამ წერილში ცანკოვი უარ-ჰყოფს გაზეთების ლაპარაკს, ვითომ იმისი მომხრენი მზად იყვნენ პრინც ფერდინანდი დაეცვათ. ბოლოს ცანკოვი ურჩევს თავის მეგობრებს, არჩევანებზე მოირიდეთ მთავრობის აგენტების გავლენა და ძალ-მომრეობა ჯარებისაო.

„Гражданинъ“-ი ამბობს, რომ ერთხანად სახელმწიფო მოღვაწედ მყოფი გრაფი ვალუევი გარდაიცვალა ისეთს სახლში, რომელშიაც მარტო სამი ოთახიაო, გარდაიცვალა უბრალო საწოლზედ, პატარა ოთახშიო.

სოფია. პანიცა რომ გასჩხრიკეს, უპოვეს წერილები ზედ-წარწერით, მიერთვას ვაჭარს სოლოპკოვსაო, რომელიც დაპატიმრებულია. ეს წერილები საიდუმლო ნიშნებით არის ნაწერი. მაგრამ, როგორც ამბობენ, საიდუმლოს ნიშნების მიხვდნენო. აქამომდე პანიცას პოლიციის მოსამართლესთვის საიმისო საყურადღებო ამბავი არა უთქვამს რა ჩვენებაზე. ბოლოს ხანს მოსულის ამბებით ამ სჩანს, რომ შეთქმულობის აზრად ყოფილა; პრინცი ფერდინანდი გაეტაცნათ და სტამბულოვი და მუტკუროვი მოეკლათ.

ბერლინი. (დეპეშა ვოლფის სააგენტოსი) „Armee Verordnungsblatt“-ში დაბეჭდილია ბრძანება მისდგეს მე 16 ლოტარინგიის და მე 17 დასავლეთ-პრუსიის კორპუსი ამ კორპუსის პოლკებში 140-მდე ქვეითი პოლკი დაბინავდება ინოვრაცლავს 141 ლი გრაუდენცს, 35 ე არტილერიის პოლკი იქვე, 36-ე არტილერიის პოლკი და მე-17 რაზმი მებარგულთა დანციგს, 2 პიონერთა ბატალიონი ჩაირიცხება მე-17 კორპუსში, ხოლო ბრანდენბურგის პიონერთა ბატალიონის მე 3 და მე-4 რაზმისაგან შესდგება ნახევარ-ბატალიონი, რომელიც ჩაირიცხება მე 2 კორპუსში. შტაბის ბინა იქნება დანციგს.

პეტერბურგის ბირჟა, 26 იანვარი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 7 31 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 146½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 8 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | 241¾ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 229 |
| —მესამისა | — „ | — „ | 218¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყყ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

იანვარი 31 დღით არის

30 დღე სამშაბათი. ქართველ. სამთა მღვდელთ-მთავართა, გრიგოლ ღვთის მეტყველისა, ვასილი დიდისა და იოანე ოქროპირისა. მოწამე იპოლიტესი, კათოლ. წმ. მარტინისა და იპოლიტისა. სომეხ. წმ. სუქიასიანთა. მზე ამოდის 7 საათ. 3 წუთ, ჩადის 5 საათ. 27 ჭეშმარიტი შუადღე 12 საათ. 14 წუთ. მთვარე 21 დღისაა.

31 დღე ოთხშაბათი. ქართველ. წმ. და საკვირველ მომქმედთა კვიროს და იოანესი. კათოლ. წმ. პეტრესი და მარცელინასი. სომეხ. მარხვაა, მზე ამოდის 7 საათ. 1 წუთ. ჩადის 5 საათ. 29 წუთ. ჭეშმარიტი შუადღე 12 საათ. 14 წუთ. მთვარე 22 დღისაა.

თებერვალი 28 დღით არის

1 დღე ხუთშაბათი. ქართველ წინადღესასწაული მირქმისა უფლისა იესო ქრისტესი და წმ. მოწამის ტრიფონისა. კათოლ. წმ. მოწ. ეგნატი ეპისკოპოსისა. სომეხ. წმ. ეპისკ. ვოსკიანცთა. მზე ამოდის 6 საათ. 58 წუთ., ჩადის 5 საათ. 30 წუთ. ჭეშმარიტი შუა დღე 12 საათ. 14 წუთ. მთვარე 23 დღისაა.

2 დღე პარასკევი. ქართველ. მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. კათოლ. მირქმა უფლისა. სომეხ. წმ. ეპისკ. ათანაგენისა. მარხვაა. მზე ამოდის 6 საათ. 57 წუთ. ჩადის 5 საათ. 32 წუთ. ჭეშმარიტი შუადღე 12 საათ. 14 წუთ. მთვარე 24 დღისაა.


## განცხადებანი

ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 7 თებერვალს 1890 წლისას ამ ბანკის სადგომში, ერეკლინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯაროდ იყიდება გასყიდული უძრავი ქონება არტემ იაგორის ძის საათასაზოვისა ეს ქონება იმყოფება ქ. ტფილისის მე-10 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზედ, და შეადგენს ორ-სართულიანს ქვითკირის სახლს სარდაფებით, მეზონინით და ფლიგელით, ერთს სართულიანს სახლს სარდაფითა და მეზონინით, ერთ სართულიანს სახლსავე და ხესილიანს ვენახს, ზომით 2317⁶⁹/₂₀₀ ოთხ-კუთხს საჟ. ამ მამულის საზღვრები წვლილად არის აღნუსხული და აღნიშნული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის დაგირავების მოწმობაში, რომელიც დაწერილია 1882 წ. 24 სექტემბერს და № 1579 უზის გაჭრობა დაიწყება 37,719 მანეთისა და 36 კაპეიკით. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ პირობათა წვლილად შეტყობა ყოველ დღე ბანკის სამმართველოში.

(3—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| იაენანამრა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კედლის კალენდარი ჩარკვიანისა | „ | 40 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული | „ | 10 |
| საყმაწვილო ამბები თ. ახათიანისა, ფასი | „ | 10 |
| საერთო კედლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა | „ | 52 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერი პირველი წიგნი | „ | 30 |
| უბის წიგნი 1890 წ. ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული | „ | 40 |
| ძმა ძმის მტერი მოთხრობა თარგმანი ა. წითლიძისა | „ | 10 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: | 1 | „ |

სამეურნეო გაზეთი

„მეურნე“

გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთი „მეურნე“ მომავალს 1890 წელს გამოიცემა იმავე პროგრამითა და სივრცით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

გაზეთის ფასი:

| თბილისში | | თბილისს გარეთ | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა . . . | 4 მ.— | 1 წლისა . . . | 5 მან. |
| ½ „ . . . | 2 მ. 50კ. | ½ „ . . . | 3 მან. |

ცალკე № — 15 კაპ.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ და 20 კაპ. პირველ გვერდზედ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება: „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით რედაქციაში, რუეტის ქუჩაზედ, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიმართონ თითონ რედაქციას შემდეგს ადრესით: Тифлисъ, въ редакцію газ. „Мэурнэ“.

გაზეთის გაგზავნის გამო რედაქცია პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს.

სასტუმრო

„პურ-ღვინო“

(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბს ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივსა და ევროპიულს გემოვნებაზედ გაკეთებული, საჭმელი

იმერულსა და გურულს საჭმლებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თითვეულად 12 მანათი მსურველთ სახლებშიაც ვუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან ბატონისა (იმისავე შამპანური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადესისა და ყიევლევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკორები) და საზღვარ-გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (ცალკე კაბინეთები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს ავეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს აბაზიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო.

დაიბეჭდა და ისყიდება
გრ. ჩარკვიანის და რომ. ფანცხავას
ქართულ წიგნის მაღაზიაში
პირველად გამოცემული

სამრეკლო კალანდარი

მხატვრობით

1890 წლისა

კალენდარში მოთავსებულია ყოველ გვარი კალენდარული ცნობანი და სურათებით არის შემკული.

ფასი 40 კაპ.

იქვე ისყიდება
1890 წლის
კედლის
ქართული კალენდარი
წლიწადი მეორე

კალენდარი ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთა, სახელმწიფო უქმეები, შესანიშნავი ისტორიული მოვლენანი, მთვარის ანგარიში, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ნაკვესიდამ, დამაკვირდიდამ და ქართული საჭმელების მომზადება.

ფასი 40 კაპ.


Доз. цен. Тифлисъ 29-го Января, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаев а уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.